ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-101011705553548-17

"24." 05. 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო/რაიონი III, კვარტალი II, ნაკვეთი 11/005-ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.17.07.011.036) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2815567 05.09.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო/რაიონი III, კვარტალი II, ნაკვეთი 11/005-ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.17.07.011.036) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

+3.700 ნიშნულის ქვეშ დამატებულია რიგელები. +30.10 ნიშნულზე შეცვლილია სახურავის ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია სამერცხლეების კედლების მოპირკეთება. ფასადებზე დამატებულია გამწოვები და გამათბობლის ქვაბები. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. შეცვლილია გამწვანების ფორმა. დამატებულია საყრდენი კედლები და ლითონის მოაჯირები.

-2.80 ნიშნულზე „1-1" ღერძის გარეთ შეცვლილია კოლონების გაბარიტი და გაზრდილია რაოდენობა.

+26.80 ნიშნულზე გაუქმებულია დუპლექსის კიბე.

„4-1" ფასადზე ±0.000 ნიშნულზე „4-3" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. „3-2" მონაკვეთში ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი.

„დ-ა" ფასადზე სარდაფის სართულზე შეცვლილია ღიობების ფორმა და არ არის მოწყობილი ფრამუგები. კედელი გაულესავია. „გ-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. საყრდენი კედელი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბილდ ჯორჯია"-ს, ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო/რაიონი III, კვარტალი II, ნაკვეთი 11/005-ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.17.07.011.036) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01170553548-17 24.02.2017წ. განცხადება.
№წ-10/01170553548-17 28.02.2017წ. ბრძანება.



სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**